საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
მონაცემთა გაცვლის სააგენტო

მონაცემთა გაცვლის სააგენტო

E-GOVERNMENT.GE
საინფორმაციო ფურცელი

გამოშვება **#10** დეკემბერი 2011 - იანვარი 2012

გამოშვებაში წაიკითხავთ

2011 წლის შედეგები და 2012 წლის გეგმები 1

საქართველოში **ID** ბარათების გაცემა დაიწყო 5

ნოტარიუსთა პალატის ელექტრონული სერვისები 5

სამოქალაქო რეესტრის ელექტრონული სერვისები 6

ფინანსთა სამინისტროს ახალი ვებგვერდის პრეზენტაცია 6

ჯანდაცვის სამინისტროს ელექტორნული სერვისები 6

მონაცემთა გაცვლის სააგენტო: 2011 წლის შედეგები და 2012 წლის გეგმები

მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება - ერთიანი სამთავრობო კარიბჭე (Global Governmental Gateway – G3 project)



მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა, საქართველოს სამთავრობო კარიბჭე, არის აპარატურულ/პროგრამული კომპლექსი, რომელიც ქმნის სახელმწიფოს მსაშტაბით ერთიან გეოგრაფიულად განაწილებულ ინფორმაციულ სისტემას. სისტემაში ჩართულ სუბიექტებს ელექტრონული სერვისების საშუალებით ინფორმაციის უსაფრთხოდ გაცვლის საშუალება აქვთ. მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში სხვადასხვა საინფორმაციო სისტემების დაკავშირება ხდება მათი მხრიდან მინიმალური დანახარჯებით.

უკვე არსებული საინფორმაციო სისტემებისთვის საჭიროა მხოლოდ მონაცემთა ადაპტერის დამატება, რომელიც აუცილებელია ერთიან სისტემასთან კავშირის უზრუნველსაყოფად. ზემოთ აღნიშნული სისტემა გაუმჯობესებს ინფორმაციასთან წვდომას და უზრუნველყოფს მის დაცულობასა და საიმედოობას. ასევე სისტემა საშუალებას მოგვცემს შეიქმნას ახლი კომბინირებული ელექტრონული სერვისები და გაცილებით ეფექტურად, ნაკლები დანახარჯებით უზრუნველვყოთ ერთი ფანჯრის პრინციპით მომსახურეობის მოსახლეობისთვის მიწოდება. 2011 წელს საერთაშორისო ვენდორების მხარდაჭერით (HP, Microsoft) შეიქმნა მონაცემთა გაცვლის ინფრსქტრუქტურა. ამ ინფრასტრუქტურაში მოხდა იუტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების საჯარო და სამოქალაქო რეესტრების, ფინანსთა სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს ჩართვა. ინტეგრიებულია 5-ზე მეტი სერვისი. 2012 წლის ბოლომდე დაგეგმილია ყველა იმ საბიუჯეტო ორგანიზაცის ჩართვა, რომლებიც წარმოადგენენ ელეტქრონული სერვისების მომწოდებლებს და ათეულობით სერვისის ინტეგრაცია (გაგრძელება გვ.2).

(გაგრძელება, დასაწყისი გვ.1)

მოქალაქის პორტალი - ელექტრონული სერვისების ერთიანი სისტემის შექმნა

მონაცემთა გაცვლის სისტემის ერთ-ერთ თანმდევ პროდუქტს წარმოადგენს მოქალაქის პორტალი. ეს არის ერთიანი ვებ-ინტერფეისი, სადაც თავმოყრილია სახელმწიფო და ბიზნეს-სექტორის მიერ რეალიზებული სხვადასხვა ელექტრონული სერვისი, აგრეთვე კომბინირებული ელექტრონული სერვისები.

მისი ინტერფეისი მომხმარებელზეა ორიენტირებული. პორტალზე ავტორიზაცია მოხდება ელექტრონული პირადობის (ID Card) მოწმობის საშუალებით. ის ერთი ფანჯრის პრინციპით მოემსახურება პორტალის მომხმარებლებს. 2011 წელს დასრულდა პორტალის კონცეფციის მომზადება. 2012 წლისთვის დაგეგმილია პორტალში მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებული ათეულობით სერვისის ჩართვა. აგრეთვე მომხმარებლების კმაყოფილების დონის კვლევა თითიეული ინტეგრირებული სერვისისთვის.

ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შექმნა

მონაცემთა გაცვლის ერთიან ინფრაქტრუქტურასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შექმნას, რომლის მიზანსაც წარმოადგენს რეესტრების, მონაცემთა ბაზების, მომსახურებისა და ინფორმაციული სისტემების შექმნის, გამოყენებისა და შეცვლის ძირითადი პრინციპების დადგენა, რეესტრების, მონაცემთა ბაზების, მომსახურებისა და ინფორმაციული სისტემების წარმოების წესების სტანდარტიზაცია და რეესტრების სფეროში სახელმწიფოს ინფორმაციული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

2011 წელს სააგენტოს მიერ ინიცირებული იქნა შესაბამისი კანონი, რომლის მიხედვითაც მონაცემთა გაცვლის სააგენტო კოორდინაციას უწევს მონაცემთა მფლობელთან არსებული რეესტრების, მონაცემთა ბაზების, მომსახურებისა და საინფორმაციო სისტემების წარმოების ერთგვაროვანი სტანდარტების დადგენასა და შესრულებას. კანონი მიღებულ იქნა და ამოქმედდა 2011 წლის მაისში, რის შემდეგაც მომზადდა მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება რეესტრში ინფორმაციის წარმოადგენის ფორმებისა და ინსტრუქციების შესახებ, ჩატარდა ვორქშოპი საჯარო სექტორისთვის, სადაც დეტალურად იქნა განხლული როგორც კანონი ერთიანი სახელმწიფო რეესტრს შესახებ, ისე სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება ამ რეესტრში ინფორმაცის წარმოდგენის წესებისა და ფორმების შესახებ.

ასევე მომზადდა ვებ-ინტერფეისით რეალიზებული სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის საშუალებითაც ინფორმაციის წარმოდგენა შესაძლებელია ელექტრონული სახით, ინტერნეტის გამოყენებით. დღეისათვის საბიუჯეტო ორგანიზაციების 70 პროცენტზე მეტმა წარმოადგინა ინფორმაცია ერთიან სახელმწიფო რეესტრში. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა დანარჩენ ორგანიზაციებთან, აგრეთვე შემოსული ინფორმაციის ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება.

(გაგრძელება, დასაწყისი გვ.2)

დოკუმენტების გაცვლის ერთიანი სისტემის ორგანიზება

დღეისათვის უმეტს სახელმწიფო ორგანიზაციაში რეალიზებულია დოკუმენტბრუნვის მართვის ელექტრონული სისტემა. დღის წესრიგში დგას „ელექტრონულად დაბადებული დოკუმენტის“ სასიციცხლო ციკლის გახანგრძლივება, ანუ მათი ორგანიზაციებს შორის მიმოქცევის აუცილებლობა.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია მოხდეს ელექტრონული დოკუმეტების საიმედო და უსაფრთხო გაცვლის სისტემის შემქნა. ამ პრობლემის გადაწყვეტა წარმოადგენს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ერთ-ერთ ამოცანას.

სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება დოკუმენტების გაცვლის ერთიანი სისტემის ორგანიზება, რომელზე მუშაობაც 2011 წელს დაიწყო და რომელიც დაკავშირებულია მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის განვითარებასთან. პროექტის დასრულება იგეგმება 2012 წელს.

ინფორმაციული უსაფრხთოების პოლიტიკის დანერგვა



ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება და მისი ამოქმედება გულისხმობს საკანონმდებლო ინიციატივის მომზადებას, რომელიც დაარეგულირებს ყველა საჯარო სამსახურის და კრიტიკული ინფრასრუქტურის ერთიან ნორმატიულ სივრცეში მოქცევას ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით.

2011 წელს პრიორიტეტის სტატუსით მომზადდა კანონპროექტი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ, მოხდა ინფორმაციული უსაფრთოების სფეროში საერთაშორისო (ISO 27000) სტანდარტის ლოკალიზაცია, რედაქტირება და ადაპტორება ქართულ რეალობასთან. საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის მომზადებულია ვორქშოფის მასალები 6 თემაზე, ჩატარებულია 3 შეხვედრა სხვადასხვა სამინსიტროებთან, მომზადდა მასალები საინფორმაციო ვებ-გვერდისთვის. ამასთან, შეიქმნა ინფორმაციულ უსაფრთხოების მარტივად გასაგები სტანდარტები და შაბლონები 19 თემაზე.

აღნიშნული დოკუმენტაციის მომზადების პარალელურად მიმდინარეობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ინფორმაციული უსაფრთხოების დანერგვის პროექტი, რომლის დასრულება დაგეგმილია 2012 წელს. ტრენინგებისთვის მოზადებულია პრეზენტაციები და სატრენინგო გეგმებისა და კურიკულუმის საბაზისო კომპეტენციების ცხრილები. შექმნილია ინფორმაციული უსაფრთხოების დანერგვის მეთოდოლოგია.

(გაგრძელება, დასაწყისი გვ. 3)

CERT-ის ფორმირება, ინციდენტებზე რეაგირების სიტემის გაშვება, შეღწევადობის ტესტის სერვისის შეთავაზება

ქვეყნის უსაფრთხოების განვითარების ერთ–ერთ უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს ინფორმაციული ინციდენტების მართვისა და პრევენციის სისტემის შექმნა. ამ მიმართულებით არსებობს საერთაშორისო გამოცდილება, როდესაც სახელმწიფო სრუქტურებში იქმნება ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს ინციდენეტებზე რეაგირების სქმების შემუშავება, კონსულტაცია და ტრენინგი, აგრეთვე სამთავრობო ქსელის მონიტორინგი.

2011 წელს დასრულდა პროექტის პირველი ფაზა. დაკომპლექტებულია CERT-ის გუნდი, ჯგუფის წევრებმა გაიარეს საბაზისო და SANS-ის სერტიფიცირებული სატრენინგო კურსი. დასრულდა კომპიუტერული ინციდენტების ანგარიშგების სისტემის გაშვება და რეაგირების სქემის აწყობა. მომზადებულია ინციდენტებზე რეაქგირების სქემის პროცედურების დოკუმენტი, ინციდენტების მართვის სფეროში ცნობიერების ამაღლების სახელმზღვანელო, სისტემის მომხმარებლის ინსტრუქცია და სისტემისა და სქემის პრეზენტაცია. შემუშავებულია შეღწევადობის ტესტის სერვისის აღწერილბა და სამუშაო სცენარები. შეღწევადობის ტესტის სერვისი განხორციელდა ორ საბიუჯეტო ორგანიზაციაში. 2012 წლისთვის დაგეგმილია cert.gov.ge-ს ტექნიკური შესაძლებლობების გაზრდა, თანამშრომლების ტრენინგი, cert -ის ინფრასტრუქტურის შექმნა, აგრეთვე cert.gov.ge-ს გაწევრიანება საერთაშიროსო ორგანიზაციებში (First-ში და TI-ში), რაც მნიშვნელოვნად გზრდის როგორც ტექნიკურ და ფუნქციონალურ შესაძლებლობებს, ისე კრიტიკულ ინფორმაციაზე წვდომის საშაულებებსაც.

<u>TWINNING PROJECT -</u> საქართველოში ელექტრონული მმართველობის გაძლიერება

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის მხარდაჭერით და მიზნად ისახავს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მხარდაჭერას ელექტრონული მმართველობის სფეროში ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის დასანერგად.

2011 წელს მომზადდა პროექტის დეტალური აღწერა, ლოგიკური ჩარჩო, განხორციელების სტრატეგია, პროექტის გეგმა და ბიუჯეტი, გამოცხადდა კონკურსი ევროკავშრის ქვეყნებს შორის. საუკეთესო განაცხადი შემოთავაზებული იქნა ავსტრია-გერმანიის კონსორციუმის მიერ, რომელიც შეირჩა პროექტის ტვინინგ პარტნიორად. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ტვინინგის ხელშეკრულებაზე, რომელიც უნდა გაფორმდეს არაუგვიანეს 2012 წლის მაისში, რის შემდეგაც დაიწყება უშუალოდ პროექტის განხორციელება.

2011 წელს საქართველოში ID ბარათების გაცემა დაიწყო

2011 წლის 1 აგვისტოდან საქართველოში ახალი თაობის პირადობის მოწმობის ID ბარათების გაცემა დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ID ბარათი მაღალტექნოლოგიური, გაყალბებისგან მაქსიმალურად დაცული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტია.

ამ საბუთით შესაძლებელია პიროვნების იდენტიფიკაცია დისტანციურად, ინტერნეტის საშუალებით. გარდა ამისა, ID ბარათი ელექტრონული დოკუმენტების ციფრულად ხელმოწერის საშუალებას იძლევა და მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ასეთ დოკუმენტებს იურიდიული ძალა აქვს. ID ბარათის შემოღება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მომსახურების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესებას და შესაბამისად სახელმწიფო თუ კერძო სექტორის სერვისების მომხმარებლების კმაყოფილების გაზრდას. ასევე გააუმჯობესებს ბიზნესის კეთების ეფექტურობას, ხელს შეუწყობს საქართველოში ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას. ID ბარათის შესაძლებლობების გამოყენების დამატებითი დეტალებისთვის იხ. მოქალაქის პორტალის შესახებ ინფორმაცია.

ნოტარიუსთა პალატის ელექტრონული სერვისები

2011 წელს დანერგილი ელექტრონული სერვისი

2011 წლის პირველი სექტემბრიდან დასრულდა ნოტარიუსთა პალატის არქივში დაცული სამემკვიდრე საქმეებისა და ანდერძების ელექტრონულ ბაზაში შეტანა, რამაც მოქალაქეს ნოტარიუსთა პალატის არქივში არსებული სანოტარო აქტის ასლის მიღება გაუმარტივა.

ნოტარიუსთა პალატის არქივში უფლებამოსილებაშეწყვეტილი ნოტარიუსების მიერ ნაწარმოები სანოტარო აქტები ინახება და მოქალაქეს აღნიშნული დოკუმენტების ასლები ხშირად ესაჭიროება მოქმედ ნოტარიუსთან, საჯარო რეესტრში წარსადგენად. აქამდე დასახელებული სანოტარო დოკუმენტაციის მისაღებად აუცილებელი იყო ნოტარიუსთა პალატაში მოსვლა, ელექტრონული ბაზის შექმნის შემდეგ კი ტერიტორიული შეზღუდვა მოიხსნა და ნოტარიუსთა პალატის აქრივში დაცული დოკუმენტაციის მიღება შეიძლება როგორც პალატაში, ასევე, ნებისმიერ ნოტარიუსთან და იუსტიციის სახლებში. ამასთან, მოქალაქეს დამატებითი საზღაური გადახდაც არ უწევს.

2012 წლისთვის დაგეგმილი ელექტრონული სერვისი

მომავალი წლიდან ნოტარიუსთან ვიზიტის დაგეგმვა ონლაინ რეჟიმში გახდება შესაძლებელი. მოქალაქე ნოტარიუსთა პალატის ვებგვრდზე განთავსებული ბანერის მეშვეობით, ონლაინ რეჟიმში დაუკავშირდება ნოტარიუსს, წინასწარ შეუთახმებს ვიზიტს და აღარ მოუწევს რიგში დგომა. შესაბამისად, აღნიშნული სერვისი მომხმარებელს საშუალებას მისცემს, დაზოგოს დრო და ხარჯი.

სამოქალაქო რეესტრის ელექტრონული სერვისები

- დისტანსიური სერვისები უცხოეთში მყოფი მოქალაქეებისთვის

საზღვარგარეთ მყოფ მშობლებს საშუალება აქვთ დისტანციური მომსახურეობის სერვისით ისარგებლონ და სახლიდან გაუსვლელად, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, ონლაინ რეჟიმში გააკეთონ განცხადება არასრულწლოვანზე პასპორტის გაცემის თაობაზე.

უცხოეთში მყოფ პირებს ასევე საშუალება აქვთ დისტანციური მომსახურეობის სერვისით ისარგებლონ და მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, ონლაინ რეჟიმში გააკეთონ განცხადება ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის შესახებ ცნობის მიღების თაობაზე. ეს ცნობა ძირითადად სჭირდებათ საზღვარგარეთ დაქორწინების მსურველ საქართველოს მოქალაქეებს.

- მოქალაქეობის საქმეებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება ინტერნეტით გახდა შესაძლებელი
- ID ბარათის მეშვეობით ობიექტის დაცვაზე აყვანა–მოხსნა გახდა შესაძლებელი
- სულადობის ცნობისა და საინფორმაციო ბარათის მიღება ონლაინ რეჟიმში გახდა შესაძლებელი

ფინანსთა სამინისტროს ახალი ვებგვერდის პრეზენტაცია

4 იანვარს ფინანსთა სამინისტროში, ფინანსთა სამინისტროს განახლებული ვებ-საიტის (www.mof.ge) პრეზენტაცია გაიმართა. განახლებულ საიტზე მუშაობა რამდენიმე თვის წინ დაიწყო.

შეიცვალა საიტის დიზაინი, განახლდა საინფორმაციო ბაზები, კიდევ უფრო გამარტივდა ნავიგაცია, დაიხვეწა კანონმდებლობის საძიებო სისტემა. გადამხდელსა და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მოიძიოს მისთვის სასურველი ინფორმაცია არა მხოლოდ სამინისტროს, არამედ მის სისტემაში შემავალი სტრუქტურების (შემოსავლების სამსახური, ხაზინა, მომსახურების სააგენტო, საგამოძიებო სამსახური, ფინანსთა სამინისტროს აკადემია, საფინანსო-ანალიტიკური სამსახური) საქმიანობის შესახებ.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ელექტრონული სერვისები

2011 წელს დანერგილი ელექტრონული სერვისები

შეტყობინებების მართვის მოდული

სამედიცინო შემთხვევების რეალურ დროში აღრიცხვა და რეაგირება ნაცვლად რეტროსპექტულისა ამ სერვისს იყენებენ საავადმყოფოები და კლინიკები, სამედიცინო შემთხვევების რეალურ დროში რეგისტრაცა/აღრიცხვისა და რეაგირებისათვის. გაეშვა 2011 წელს.

დაბადების, გარდაცვალების რეგისტრაცია

დაბადებისა და გარდაცვალების სამედიცინო ცნობების წარმოების ელექტრონული სისტემა. ეს სერვისი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთან ერთად შეიქმნა, დაიხვეწა და გაეშვა ექსპლოატაციაში 2011 წელს. ამ სერვისით ხდება მოქალაქეების დაბადებისა და გარდაცვალების ელექტრონული რეგისტრაცია (გაგრძელება გვ. 7).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 6)

გულის ქირურგია

გულის ქირურგიის პროგრამაში ოპერაციების მომლოდინეთა ელექტრონული სიები. 2011 წელს აგრეთვე შეიქმნა გულის ქირურგიის ოპერაციების მომლოდინეთა ელექტრონული სიები, დაფინანსების გამჭვირვალეობისთვის, სიები განახლება ხდება ავტომატურად, მომხმარებელს შეუძლია შესაბამისი ბმულით სამინისტროს ვებ გვერდიდან ნახოს სტატუსი.

სამედიცინო მომსახურების მომწოდებლები

სახელმწიფო პროგრამებში მონაწილე სამედ. დაწესებულებები და მათი საკონტაქტო ინფორმაცია. ეს სერვისიც ავტომატურად განახლებადია, მასში აღირიცხება ყველა ის სამედიცინო დაწესებულება რომელიც მონაწილეობს სახელმწიფო პროგრამებში.

კლასიფიკატორების მოდული

სისტემა დაეხმარება მხარეებს მიიღონ სწორი და ამომწურავი ინფორმაცია კლასიფიკატორების შესახებ ჯანდაცვის კლასიფიკატორების სტანდარტიზაციიდან გამომდინარე, სამინისტროში შეიქმნა ICD10 საერთაშორისო კლასიფიკატორების საძიებო ვებ ამძრავი, რომლითაც მომხმარებლებს შეუძლიათ თემატურად და შინაარსობლივად მოიძიონ დაავადების შესაბამისი საერთაშორისო კოდი, სერვისი წარმოადგენს ე.წ. ღრუბელს რომლის გამოყენებაც შესაძლებელია, როგორც ვებ პორტალიდან ასევე, დაინტერესებულ მხარეს აქვს საშუალება ინტეგრაცია გაუკეთოს თავის პროგრამულ უზრუნველყოფაში, სერვისი შეიქმნა 2011 წელს.

ანგარიშგებებეის მართვის მოდული

მოდული საშუალებას მისცემს პროვაიდერებს ელექტრონულად მიაწოდონ ინფორმაცია კონტრაქტორებს გაწეული მომსახურების შესახებ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებიდან ყველა იმ შესრულებული სამსახურის შესახებ ინფორმაცია უკვე ელექტრონული სახით მიეწოდება კონტრაქტორებს რეალურ დროში. სერვისი შეიქმნა 2011 წელს.

ბენიფიციარების რეგისტრაციის მოდული

ერთიანი მონაცემთა ბაზა, სადაც აღირიცხება ბენეფიციარები სამედიცინო დაწესებულებების მიხედვით. ამ სერვისს იყენებენ როგორც პროვაიდერები (სამედიცინო დაწესებულებები) აგრეთვე სოციალური მომსახურების სააგენტო და სხვა სახელმწიფო დაწესებულებები, ბაზაში ავტომატურად აღირიცხება ყველა ბენეფიციარი შესაბამისი სავადმყოფოს ან კლინიკის მიხედვით.

ანალიტიკური მოდული

მოქნილი ინსტრუმენტი სხვადასხვა ინდიკატორების საფუძველზე ინფორმაციული ნაკადების მონიტორინგისა და ანალიზისთვის.

2012 წელს დაგეგმილი ელექტრონული სერვისები

ფარმაცევტის მოდული

ფარმაციის მოდულის საშუალებით შესაძლებელი გახდება ქვეყანაში არსებული მარაგებისა და ვადების კონტროლი (გაგრძელებე გვ. 8).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 7)

სამედიცინო რეგულირების მოდული

ჯანდაცვისა და ფარმაცევტული ობიექტების, პერსონალისა და ელექტრონული სერვისების ერთიანი მონაცემთა ბაზა

ფინანსური/ბილინგ მოდული

ჯანდაცვის ფინანსური ინფორმაციის დაგროვების, აღრიცხვისა, მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემა.

სადაზღვევო ანგარიშების მოდული

სადაზღვევო ზარალების შესახებ ინფორმაციის ელექტრონულად ანგარიშგების სერვისი სადაზღვევო კომპანიებისთვის.

აგრეთვე სოციალური მიმართულებით 2012 წელს ექსპლოატაციაში შევა სოციალური ბიუჯეტის მართვის ერთიანი ავტომატიზირებული სისტემა (SIMS), რომელიც მოიცავს ათობით სხვადასხვა სერვისს სოციალურად გაჭირვებული მოქალაქეებისთვის.

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.e-government.ge

მონაცემთა გაცვლის სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2

თბილისი 0102, საქართველო

ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 50

ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
მონაცემთა გაცვლის სააგენტო

თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ **"Subscribe"** ან დაარეგისტრიროთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ **"Unsubscribe"**.